ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N48

ქ. თბილისი

6 ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ, **შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია"**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, **ფიზიკური პირი - რევაზ კვარაცხელია**, შემდგომში "მიმწოდებელი" ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ელექტრონული კოდიანი საკეტის შეკეთების მომსახურებების შესყიდვა, რომელიც მოიცავს სათდარიგო ნაწილების ტრანსფორმატორის, აკუმულატორის და კონტროლერის შესელას ტექნიკური შეკეთებით. (CPV კოდი: 50800000) შემდგომში – მომსახურება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს **595 (ხუთასოთხმოცდათხუთმეტი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მომსახურების გაწევის შემდგომ, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი ხელმოწერიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის" თანამშრომელი - მაია კუჭაშვილი.
4.2. შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს მომსახურება, თუ იგი არ აკმაყოფილებს მხარეთა წინასწარ შეთანხმებულ ხარისხსა და მოთხოვნებს.
4.3. იმ შემთხვევაში, თუ გაწეულ მომსახურებას აღმოაჩნდა ფარული ნაკლი და აღნიშნული ცნობილი გახდა შემსყიდველისათვის მიწოდების შემდგომ, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე უმოკლეს ვადებში საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს ნაკლი ან აუნაზღაუროს დამდგარი ზიანი შემსყიდველს.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, მელიქიშვილის გამზ. N16.
5.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება არაუგვიანეს 2016 წლის 15 ივლისისა.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.3. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე;
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
6.5. ხელშეკრულების თითოეული მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
6.6. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. სხვა პირობები

9.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
9.3. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 აგვისტომდე.
9.4. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველს"

11. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"
შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია"
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №34
ს/კ 204568208
ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE28LB0113121375356003

გენერალური დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე

"მიმწოდებელი"
ფიზიკური პირი - რევაზ კვარაცხელია
დაბ: 03/10/1956
ს/კ 01029010540
ბანკი: სს „ბანკი რესპუბლიკა"
ბანკის კოდი: REPLGE22
ა/ა GE19BR0000010109131721

ფიზიკური პირი
რევაზ კვარაცხელია